

შპს ჯი თი სი ტრეიდინგი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
5. სავაჭრო მოთხოვნები	11
6. მარაგები	11
7. ძირითადი საშუალებები	11
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
9. გამოუმუშავებელი შემოსავლები	12
10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	13
11. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	13
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	13
13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31-12-19	31-12-18
აქტივები	შენიშვნა		
ფული და ფულის ექვივალენტები	4	351,366	199,140
სავაჭრო მოთხოვნები	5	8,201,577	972,974
გადახდილი ავანსები		15,000	-
მარაგები	6	4,269,645	1,618,879
სხვა მიმდინარე აქტივები		34,658	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,872,246	2,790,993
ძირითადი საშუალებები	7	472,125	355
სულ გრძელვადიანი აქტივები		472,125	355
სულ აქტივები		13,344,371	2,791,348
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	5,885,752	1,912,151
გამოუმუშავებელი შემოსავალი	9	2,973,347	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2,548	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		43,319	44,083
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,904,966	1,956,234
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	848,606	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		848,606	-
სულ ვალდებულებები		9,753,572	1,956,234
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,750	-
გაუნაწილებელი მოგება		3,573,049	835,114
სულ საკუთარი კაპიტალი		3,590,799	835,114
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,344,371	2,791,348

დირექტორი



კახა მარდიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31-12-19	31-12-18
აქტივები	შენიშვნა		
ფული და ფულის ექვივალენტები	4	351,366	199,140
სავაჭრო მოთხოვნები	5	8,201,577	972,974
გადახდილი ავანსები		15,000	-
მარაგები	6	4,269,645	1,618,879
სხვა მიმდინარე აქტივები		34,658	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,872,246	2,790,993
ძირითადი საშუალებები	7	472,125	355
სულ გრძელვადიანი აქტივები		472,125	355
სულ აქტივები		13,344,371	2,791,348
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	5,885,752	1,912,151
გამოუმუშავებელი შემოსავალი	9	2,973,347	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2,548	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		43,319	44,083
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,904,966	1,956,234
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	848,606	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		848,606	-
სულ ვალდებულებები		9,753,572	1,956,234
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,750	-
გაუნაწილებელი მოგება		3,573,049	835,114
სულ საკუთარი კაპიტალი		3,590,799	835,114
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,344,371	2,791,348

დირექტორი -----

კახა მარღიაშვილი

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	21,950,201	7,421,231
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(16,510,262)	(5,746,114)
საერთო მოგება		5,439,939	1,675,117
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(2,157,231)	(801,123)
იჯარის ხარჯი		(121,947)	(847)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(31,103)	(35)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(60,377)	(15,347)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(186,339)	(22,071)
საოპერაციო მოგება		2,882,942	835,694
საპროცენტო ხარჯი		(78,898)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(66,109)	(580)
მოგება დაბეგვრამდე		2,737,935	835,114
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		2,737,935	835,114

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი		-	-
წმინდა მოგება	-	835,114	835,114
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	835,114	835,114
საწესდებო კაპიტალის ზრდა	163,000	-	163,000
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(145,250)	-	(145,250)
წმინდა მოგება	-	2,737,935	2,737,935
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	17,750	3,573,049	3,590,799

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საოპერაციო საქმიანობა	31-12-19	31-12-18
წმინდა მოგება	2,737,935	835,114
კორექტირებები:		
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	60,377	15,347
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	31,103	35
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	(7,228,603)	(972,975)
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(15,000)	-
ცვლილება მარაგებში	(2,650,766)	(1,618,855)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	(34,658)	-
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში	3,973,601	1,911,706
ცვლილება გამოუმუშავებელ შემოსავლებში	2,973,347	-
	2,548	-
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(764)	44,505
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(150,880)	214,877
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების შეძენა	(502,873)	(390)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(502,873)	(390)
ფინანსური საქმიანობა		
მიღებული სესხი	848,606	-
კაპიტალის გაზრდა	17,750	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	866,356	-
საკურსო სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტებზე	(60,377)	(15,347)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაზრდი	152,226	199,140
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	199,140	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	351,366	199,140

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯი თი სი თრეიდინგ (ს/კ 406249625) დაფუძნდა 2018 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქ. , N3. კომპანიის 100% იან წილს 2019 წლის, 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფლობს შპს ჯი თი სი ჯგუფი (ს/კ 405324947). 31 დეკემბერი 2018 წლის მდგომარეობით კომპანიის 100% ის მფლობელი იყო კახა მარლიაშვილი, 01015007303.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი კახა მარლიაშვილი (პ/ნ 01015007303).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სპეც-ტექნიკა და აღჭურვილობები	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	2-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

3.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-19	31-12-18
ფული სალაროში	4,224	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	347,142	199,140
სულ	351,366	199,140

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯამში კომპანიას გააჩნდა დაახლოებით 30 დებიტორი 2019 წლის ბოლოს.

6. მარაგები

კომპანიის მზა პროდუქცია შეადგენს სამშენებლო დამხმარე მასალები და მოწყობილობებს.

7. ძირითადი საშუალებები

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწა	-	208,000	208,000
სპეც-ტექნიკა და აღჭურვილობები	-	6,295	6,295
სატრანსპორტო საშუალებები	-	234,060	234,060
ოფისის აღჭურვილობა	-	33,055	33,055
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	8,636	8,636
ავეჯი და სხვა ინვენტარი	390	12,827	13,217
სულ	390	502,873	503,263

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
სპეც-ტექნიკა და აღჭურვილობები	-	463	463
სატრანსპორტო საშუალებები	-	25,284	25,284
ოფისის აღჭურვილობა	-	3,801	3,801
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	432	432
ავეჯი და სხვა ინვენტარი	35	1,123	1,158
სულ	35	31,103	31,138

2018 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	390	390
სულ	-	390	390

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	35	35
სულ	-	35	35

8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	2019	2018
ვალდებულებები დაკავშირებულ პირებთან	1,261,475	276,162
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	4,624,277	1,635,989
სულ:	5,885,752	1,912,151

9. გამოუმუშავებელი შემოსავლები

კომპანიის გამოუმუშავებელი შემოსავლები შედგება 3 კლიენტისგან მიღებული თანხებისაგან

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს ქართული ბანკებისგან მიღებულ სესხებს.

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან	2019	2018
გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები	21,212,734	7,250,300
შემოსავალი იჯარიდან	717,871	170,288
სხვა შემოსავლები	19,596	643
სულ შემოსავლები	21,950,201	7,421,231

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია ახდენს მარაგების შესყიდვას, აღნიშნული მარაგების ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი	2019	2018
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	1,694,534	785,044
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	462,697	16,079
სულ:	-2,157,231	801,123

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2019 და 2018 წლების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების გაშიფვრა კატეგორიების მიხედვით:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-19	31-12-18
მიწოდების ხარჯები	51,744	14,623
სოციალური დანარიცხები	39,815	-
დაზღვევა	4,691	-
კომუნიკაციის ხარჯები	4,388	-
კომპიუტერის ხარჯები	675	-
საკონსულტაციო ხარჯები	575	-
რემონტი	301	-
საოფისე ინვენტარი	168	-
სხვა საერთო ხარჯი	83,982	7,448
სულ	186,339	22,071

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეიცავს დაკავშირებულ კომპანიებთან შემდგომ თანხებს:

ტრანზაქციები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებთან	31-12-19	31-12-18
სავაჭრო მოთხოვნები	2,782,937	321,875
სავაჭრო ვალდებულებები	1,261,475	276,162

2019 და 2018 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 1,694,534 ლარი და 785,044 ლარი წლების შესაბამისად.

კომპანიას 2019 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა მიღებული სესხები დაკავშირებული პირებისგან რომლებიც წლის განმავლობაშივე დაიფარა, ჯამურმა ბრუნვამ წლის განმავლობაში შეადგინა 922,708 ლარი, რომლის შესაბამისი საპროცენტო ხარჯი 8,095 ლარი აღრიცხულია კომპანიის ფინანსურ უწყისებში, როგორც საპროცენტო ხარჯი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის გამო, მარტის მეორე ნახევარში საქართველოში გამოცხადდა ე.წ. ლოქდაუნი, რამაც მრავალი ბიზნესის საქმიანობის შეჩერება და/ან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა განაპირობა. ლოქდაუნმა ორი თვე გასტანა. აღნიშნულის გამო, კომპანიას შეუმცირდა რეალიზაცია. თუმცა ამ ანგარიშგების თარიღისთვის ლოქდაუნი მოხსნილია და კომპანიას სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. სამშენებლო სექტორის შეუფერხებელი განვითარებისთვის სახელმწიფომ დამატებით განახორციელა ღონისძიებები, მათ შორის დეველოპერული კომპანიებისგან ფიზიკური პირებისთვის ბინის შეძენაზე გამოაცხადა სუბსიდირების პროგრამა, რაც გულისხმობს იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთის ნაწილობრივ სუბსიდირებას 4% ის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ სესხის სრული არსებობის მანძილზე, მათთვის ვინც პანდემიის გამოცხადების შემდგომ შეიძენს უძრავ ქონებას.